

ისტორია - HISTORY

ზაზა ალექსიძე

მართლა სჯიდა სიკვდილით ქართლის კათალიკოსს სომეხთა კათალიკოსი?

2014 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოქვეყნდა არსენ შაჰინიანის წიგნი „Раннесредневековая география Армении и стран Южного Кавказа“ (Санкт-Петербург, 2014). წიგნის უკანა ყდა დეტალურად გვამცნობს მისი ავტორის შთამბეჭდავ სამეცნიერო და საზოგადოებრივ დამსახურებებს. 39 წლის ასაკში მას მოუსწრია 75-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის დაწერა, რომელთა შორისაც 5 მონოგრაფიაა და „სამი უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელო, რომლებიც ეძღვნება სომხეთის, აზერბაიჯანის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ისტორიას და გეოგრაფიას“. კიდევ რა რაოდენობის ნაშრომები მოემატებოდა ამ ხუთ წელიწადში, ადვილი წარმოსადგენია!

რადგან ჩემ სამეცნიერო ინტერესებთან უფრო ახლოს იყო წიგნის I თავის მესამე პარაგრაფი სახელწოდებით „Церковные отношения в контексте христологических споров на Востоке“, როგორც კი ნახსენები წიგნი ხელში ჩამივარდა, ამ პარაგრაფის გაცნობით დავინწყე. მართალი რომ ვთქვა, აღნიშნული პარაგრაფის, ან თუნდაც მისი ორი გვერდის, გაცნობამ სრულიად დამიკარგა არსენ შაჰინიანის წიგნისადმი ინტერესი. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ამდენი წიგნისა და სტატიის ავტორი უბრალოდ არაპროფესიონალი და არაობიექტურია.

მაგალითად, როდესაც იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ „престолы (Албании и Иберии - З. А.) в свою очередь на правах ограниченной автокефалии признавали первенство великоармянских первосвященников с новой резиденцией в Двине“¹. ა. შაჰინიანი აგრძელებს: „Более того, позднее великоармянский католикос Абрахам I Албатанеци (607-615) будет грозить иберскому католикосу Кириону I (595-610) за непослушание смертной казнью: „Ты прогнал епископа церкви Цуртава [...] а армянское богослужение там [...] как стало мне известно, отменил. Этот поступок нам показался заслуживающим смерти [...]“ - читаем в первом из тех посланий к Кириону в Мцхету, включенных в „Книгу Писем““. (ძილქა

¹ ავტორი გულისხმობს დვინის 506 წლის საერთო კრებას, რომელშიც მონაწილეობდნენ ალბანეთის, სომხეთისა და ქართლის ეკლესიები. კრება მოწვეული იყო ბიზანტიის ეკლესიის მიერ. დვინის 506 წ. კრების შესახებ საკმარისად მაქვს ნაშრომები, ამ საკითხს საერთოდ არ შეეხები.

ათაჟინ სტანს Արրահամու Հայոց կաթողիկոսի, ათ Կիւրիոն Վրաց կաթողიկოსი)。¹

დავინწყოთ იმით, რომ ჩვენი ავტორი დიდოსტატია მრავალწერტილით შემოკლებებისა. ან რა ენერა ტექსტში იმდენი, რომ მას შემოკლება დასჭირვებოდა? რა მივიღეთ შემოკლებების შემდეგ და შედეგად? აბრაამი ეუბნება კირიონს:

„შენ გააგდე ცურტავის ეპისკოპოსი და იქ სომხური ღვთისმსახურება შეცვალე. ასეთი საქციელი მე მეჩვენება სიკვდილის ღირსად“.

ამ ბოლო ფრაზას თავის კომენტარებში ა. შაჰინიანი კიდევ უფრო ამწვავებს, რომ მკითხველმა მასში რამე ფიგურალური გამოთქმა არ დაინახოს, და გვარწმუნებს:

„[...] позднее великоармянский католикос Абрахам I Албатанеци *будет грозить иберскому католикосу Кириону I смертной казнью за непослушание*“.

„[...] მოგვიანებით დიდი სომხეთის პატრიარქი აბრაამ I ალბათანელი სიკვდილით დასჯით დაემუქრება იბერიელ კათალიკოს კირიონ I-ს დაუმორჩილებლობის გამო“.

ვნახოთ, როგორ არის ეს ტექსტი თარგმნილი სომხურიდან რუსულად ა. შაჰინიანის წყაროში და რატომ დასჭირდა მას სხვისი თარგმანით ესარგებლა (თუმცა არ უთითებს ავტორს). ცხადია, მან არ იცის ძველი სომხური ან, როგორც თვითონ უყვარს თქმა, გრაბარი. საქმე ის არის, რომ რუსული თარგმანი შემოკლებებით ა. შაჰინიანს მოაქვს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომიდან, რომელსაც არაერთგზის მიმართავს თავის წიგნში, თუმცა არც ამ და არც უმეტეს შემთხვევაში არ ასახელებს. აი, მის გასახარად ივ. ჯავახიშვილის სრული თარგმანი „მკვლევლობის“ შესახებ:

„Теперь я слышу, что, прогнав цуртавского епископа, зачем-де приказываешь исповедовать православную (т. е. монофизитскую) веру, вы отменили даже армянское богослужение, установленное [в честь] святой Шушаники; этот ваш поступок мне *показался заслуживающим смерти, даже более злостным*“.²

მართალია, ივ. ჯავახიშვილის თარგმანი არ არის ზუსტი, მაგრამ ის ხომ მაინც კარგადა ჩანს, რომ სომხური ღვთისმსახურების შეცვლა (უფრო ზუსტად, ღვთისმსახურების ენის შეცვლა) ეხება არა მთლიანად ცურტავის საეპისკოპოსოს, არამედ შუშანიკის საფლავზე აღმართულ ეკლესიაში წირვას. თანაც მისი თარგმანიდან ისიც ჩანს, რომ აბრაამი სულაც არ ემუქრება კირიონ კათალიკოსს. უბრალოდ, ივ. ჯავახიშვილის თარგმანით, ეს არის ფიგურალური გამოთქმა. ა. შაჰინიანს რომ ბოლომდე მოეტანა მისი თარგმანი,

¹ *Раннесредневековая география*, გვ. 116-117. საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია ავტორს საქართველოს და ალბანეთის „შეზღუდული ავტოკეფალია“, თუ სომეხთა კათალიკოსს შეუძლია ქართლის კათალიკოსი სიკვდილით დასაჯოს და ისიც ამ მძიმე მუქარას არაფრად აგდებს?!

² *Джавахов, История церковного разрыва между Грузией и Арменией*, გვ. 528.

მკითხველი ამას თვითონაც მიხვდებოდა: „[...] ЭТОТ ВАШ ПОСТУПОК *показался заслуживающим смерти, даже более злостным*“. „[...] ეგ თქვენი საქციელი მოგვეჩვენა სიკვდილის ღირსად და უფრო მეტად მტრულად“.

აი, როგორ გადმოაქვს რუსულად იგივე ადგილი აბრაამის პირველი ეპისტოლედან ა. მნაცაკანიანს, რომელიც სხვა შემთხვევებში სრულიადაც არ არის შემჩნეული ობიექტურად თარგმნაში:

„Дошла до меня весть, что установленный армянский порядок почитания святой Шушаник, вытесняя, заменили: *горьким как смерть и даже горше этого показался нам поступок этот*“.¹

„მწარედ, როგორც სიკვდილი, და მასზე უფრო მწარედ მეჩვენა ეს საქციელი“.

სომ ნათელია, რომ არავინ აპირებს ვინმეს მოკვლას და სომეხთა პატრიარქი მხოლოდ თავის გულნაკლულობაზე ლაპარაკობს. მინდა დავამშვიდო შაჰინიანი, რომ ძველი იერარქები უფრო გონიერები იყვნენ, ვიდრე დღევანდელი ინტერპრეტატორები.

ახლა ვნახოთ როგორ თარგმნის ამ ადგილს აბრაამ კათალიკოსის ეპისტოლედან ნ. გარსოიანი:

„Maintenant, l'évêque de C'urt'aw a été chassé. Pourquoi ordonnes-tu de confesser la foi orthodox? Et nous entendons que vous avez remplacer la liturgie en langue arménienne instituée pour saint Šušānik. *Votre action nous semble de dimension mortelle et des plus mauvaise*“.²

„თქვენი მოქმედება ჩვენ გვეჩვენება სიკვდილის ტოლად და უფრო მეტადაც“.

კიდევ უფრო საინტერესოა, როგორ გადმოსცემს X საუკუნის ისტორიკოსი უხტანესი აბრაამ კათალიკოსის I ეპისტოლედან ამავე ადგილს, რომელიც მას „ეპისტოლეთა წიგნიდან“ მოაქვს. ძველი სომხური ტექსტიდან ამ ციტატის მოტანას ა. შაჰინიანისთვის აზრი არ ექნება, ამიტომ მის ფრანგულ და ინგლისურ თარგმანებს დავიმოწმებ:

მარი ბროსე: „Maintenant, l'évêque de l'église de Tsurtav a été expulsé. Pourquoi ordonnez-vous la profession de foi de l'église orthodox, tandis que défendez e rejetez, car j'entends dire qu'il en est ainsi, en langue maternelle, instituée par sainte Chouchanik? *Une pareille démarche de votre part m'a semble mortellement exorbitante*“.³

„ასეთი გადანყეტილებები თქვენგან მე მეჩვენება სიკვდილის ტოლად“. ეპისკოპოსი ზავენ არზუმანიანი:

„Now the bishop of the church of C'urtav is expelled. Why are you the profession of the orthodox [Chalcedonian] faith, and, as I hear it, how can you abolish the worship

¹ Мнацаканян, *О литературе Кавказской Албании*, გვ. 106.

² Garsoïan, *L'Eglise arménienne et le grand schism d'Orient*, გვ. 548.

³ Brosset, *Deux historiens arméniens*, გვ. 321.

performed in the native [language] which was established by St. Shushanik? *Such measures taken by you hit us a mortal blow so terribly and exorbitantly*“.¹

„თქვენ მიერ ასეთი ზომების მიღებამ ჩვენ სასიკვდილო დარტყმა მოგვაყენა, საშინლად და ძლიერად“.

ახლა ვნახოთ, როგორაა იგივე წინადადება ჩემ მიერ თარგმნილ „ეპისტოლეთა წიგნში“:

„ჩვენ სიკვდილზე უფრო უბოროტესად მივიჩნიეთ ეგ საქმე“.²

უხტანესი: „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“:³

„ჩვენ სიკვდილზე უბოროტესად გვეჩვენა ეგ საქმე“.

საერთოდ კი ვურჩევდი ა. შაჰინიანს, თუ ამას აზრი აქვს, აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეს წერილი მაინც სრულად წაიკითხოს. იქნებ მაშინ მიხვდეს, რომ აბრაამ კათალიკოსი დიპლომატიურ წერილსა წერს და არა სასამართლო განჩინებას.

მაინც როგორ წარმოუდგენია ბატონ შაჰინიანს, ვის უპირებდა სიკვდილით დასჯას სომეხთა კათალიკოსი? სხვა ქვეყნის უძლიერეს კათალიკოსს, რომელმაც თავისი ეკლესიის ურჩი ეპისკოპოსი, მოსე ცურტაველი, გაათავისუფლა ეპისკოპოსობიდან. გარდა ამისა, კირიონმა შუშანიკის მოსახსენებელ ეკლესიაში სომხურთან ერთად ქართული ენაც დაამკვიდრა. აი ამას განიცდიდა აბრაჰამ კათალიკოსი, როგორც „სიკვდილს და იმაზე მეტს“. შესიტყვება, „იმაზე მეტს“, გვიჩვენებს, რომ სიკვდილით დასჯაზე მსჯელობა არ არის სერიოზული. ხომ არ შეიძლება, რომ დამნაშავე ჯერ სიკვდილით დასაჯო, ხოლო შემდეგ გაუგებარი სიკვდილზე „უფრო მეტი“ მიაყოლო.

საეკლესიო განხეთქილების დასასრულს აბრაჰამ კათალიკოსის მიერ ქართველთა დანყევლის ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვებია: „სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ, ვითარცა ურიებს“.

იმავე „საყოველთაო ეპისტოლეს“ დასასრულს აბრაჰამ კათალიკოსი ახლა უკვე თავის მრევლს მიმართავს: „თუ ვინმე მათ (ქართველებს) ეზიარება და ერთნება იქნება მათი სარწმუნოების სიბილნისა, ასეთები წყეულიმც იქმნენ სულით, წყეულიც იქმნენ ხორციით და მთელი თავისი ცხოვრებით, განეშორნენ ღმერთის წმინდა ეკლესიას, იყვნენ ბნელს დამკვიდრებულნი და სამარადისო საზრდო ცეცხლისა! ხოლო თუ ვინმე გაამპარტავნდება და შეურაცხყოფს ამ წყევლას, უწყოდეს, რომ სულიერი სასჯელის შემდეგ ვეცდებით **ხორციელსაც** მივალნიოთ“.

ყველაფერი ნათელია. სომხეთის კათალიკოსს ხელი არ მიუწვდება ქართლის კათალიკოსზე, ხოლო თავის მრევლს კი განრისხების ჟამს როგორც უნდა, ისე მოექცევა, დასჯის ხორციელი სასჯელითაც.

¹ Bishop Ukhtanes of Sebastia, *History of Armenia*, გვ. 91.

² *ეპისტოლეთა წიგნი*, გვ. 67.

³ უხტანესი, *ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან*, გვ. 123.

დამონმბებული ნყაროები და ლიტერატურა

ეპისტოლეთა ნიგნი - ეპისტოლეთა ნიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1968.

უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან - უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1975.

Bishop Ukhtanes of Sebastia, *History of Armenia* - Bishop Ukhtanes of Sebastia, *History of Armenia*, Part II, *History of the Severance of the Georgians from the Armenians*, Translation, Introduction and Commentary by Fr. Z. Arzumanian, Ph. D., Columbia University, Fort Lauderdale, 1985.

Brosset, *Deux historiens arméniens* - Brosset M.-F., *Deux historiens arméniens*, St.-Pétersbourg, 1871.

Garsoïan, *L'Eglise arménienne et le grand schism d'Orient* - Garsoïan N., *L'Eglise arménienne et le grand schism d'Orient*, Lovanii, 1999.

Джавахов, *История церковного разрыва между Грузией и Арменией* - Джавахов И. А., *История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века*, Санкт-Петербург, 1908.

Мнацаканян, *О литературе Кавказской Албании* - Мнацаканян А., *О литературе Кавказской Албании*, Ереван, 1969.

Could the Armenian Catholicos Really Sentence Catholicos of Kartli to Death?

Summary

The work discusses the Russian-language book of Arsen Shaginyan, a historian from St. Petersburg - „Geography of Armenia and the countries of the South Caucasus in the Early Middle Ages“. Closer to my scholarly interests is the third paragraph of chapter I of the Book - „Church Relations in the East in the Context of Christological Polemics“.

In this part of the book, the author tries to prove that on the basis of „limited autocephaly“ the Church of Kartli recognizes the advantage of „Great Armenia“ over churches in the South Caucasus. He relies on a letter written by the Armenian Catholicos Abraham Albatanetsi (607-615) to the Catholicos of Kartli Kiron, where he threatens him with the death penalty in case of disobedience.

The article presents translations of specialists who since 1901 (the year of publication) have interpreted and translated the very passage of the Book of Epistles, where Arsen Shaginyan has read that the Armenian Catholicos threatened Catholicos of Kartli to execute him. I will give only two translations in the summary. Both authors are Armenians. One translates into Russian and the other into English.

A. Mnatsakanyan: „Bitter as death, and even bitterer seemed to me your behavior“.

Bishop Zaven Arzumanyan: „Such measures taken by you hit us a mortal blow so terribly and exorbitantly“.

Obviously, the Armenian Catholicos suffered greatly, because he was informed that the Catholicos of Kartli expelled the Armenian bishop of Tsurtavi from his congregation.

From the Book of Epistles it is clear that he could not touch the Catholicos of Kartli; however, he could threaten the members of his congregation with corporal punishment if they had any connection with Georgians other than trade. Life is wise, and not a single item of this curse has ever been fulfilled.